



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის  
დირექტორი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

19

11

2021 წ.

№ 224

ქ. თბილისი

მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/7) შემოტანილ პროექტთა განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საექსპერტო კომისიის დამტკიცებამდე კომისიის წევრობის კანდიდატებზე წერილობითი დასაბუთების მომზადების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის 2014 წლის 16 ივლისის №170 ბრძანების შესაბამისად

ებრძანებ:

1. 2021 წლის 19 ნოემბერს შეიქმნას მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/7) განმხილველი საექსპერტო კომისია 3 წევრის შემადგენლობით:

1. ვლადიმერ სულაქველიძე - რეჟისორი;
2. ანა ჯანელიძე - ილუსტრატორი;
3. ირაკლი მახარაძე - რეჟისორი;

2. გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

3. წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრებად მოწვევის თაობაზე წერილობითი დასაბუთება და კომისიის წევრების CV.

4. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

5. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი

გაბა ჩხეიძე